ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ორი ცვლილება. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ (ნაშთის გარეშე) შეადგინა 30 257,6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 30 267,0 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33 320,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 525,7 ათასი ლარი.

2023 წელს პრიორიტეტული იყო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება, აგრეთვე განათლების, კულტურის, სპორტის და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 672,6 ათასი ლარი;

- გარე განათება - 577,5 ათასი ლარი;

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშოები - 2 504,1 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა:

- დასუფთავება ნარჩენების გატანა - 1 625,0 ათასი ლარი;

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 68,7 ათასი ლარი;

განათლება:

- სკოლამდელი განათლება - 2 061,7 ათასი ლარი;

- განათლების სისტემის ხელშეწყობა - 1 187,7 ათასი ლარი;

- საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა - 6,7 ათასი ლარი;

- საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა რეაბილიტაცია - 80,9 ათასი ლარი;

- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 214,4 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 539,0 ათასი ლარი;

- კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 2 342,7 ათასი ლარი;

- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 68,4 ათასი ლარი;

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 10,0 ათასი ლარი;

- გენდერული თანასწორობა - 18,7 ათასი ლარი;

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:

- ჯანმრთელობის დაცვა - 200,0 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 1 389,1 ათასი ლარი;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2023 წლის დამტკიცებული გეგმა	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	**26 759,2**	**29 457,6**	**29 640,4**	**100,6**
გადასახადები	9 801,2	9 801,2	9 989,9	101,9
გრანტები	14 042,2	16 794,9	17 643,4	105,1
სხვა შემოსავლები	2 915,8	2 861,5	2 007,1	70,1
ხარჯები	**15 442,1**	**17 107,9**	**16 713,1**	**97,7**
შრომის ანაზღაურება	8 264,3	8 109,3	7 996,3	98,6
საქონელი და მომსახურება	5 564,6	5 664,0	5 406,0	95,4
პროცენტი	35,0	35,0	30,3	86,6
სუბსიდიები	278,9	556,8	550,6	98,9
სოციალური უზრუნველყოფა	904,5	888,6	884,8	99,6
სხვა ხარჯები	394,8	1 854,2	1 845,1	99,5
საოპერაციო სალდო	**11 317,1**	**12 349,7**	**12 927,3**	**104,7**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**14 496,6**	**15 529,2**	**13 103,2**	**84,4**
ზრდა	15 096,6	16 129,2	13 729,8	85,1
კლება	600,0	600,0	626,6	104,4
მთლიანი სალდო	**-3 179,5**	**-3 179,5**	**-175,9**	**5,5**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-3 262,5**	**-3 262,5**	**-258,8**	**7,9**
ზრდა	0,0	0,0	3 003,7	
ვალუტა და დეპოზიტები			3 003,7	
კლება	3 262,5	3 262,5	3 262,5	100,0
ვალუტა და დეპოზიტები	3 262,5	3 262,5	3 262,5	100,0
ვალდებულებების ცვლილება	**-83,0**	**-83,0**	**-82,9**	**99,9**
ზრდა	0,0	0,0	0,0	
კლება	83,0	83,0	82,9	99,9
საგარეო				
საშინაო	83,0	83,0	82,9	99,9
ბალანსი	**0,0**	**0,0**	**0,0**	

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2023 წლის დამტკიცებული გეგმა	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	**27 359,2**	**30 057,6**	**30 267,0**	**100,7**
შემოსავლები	26 759,2	29 457,6	29 640,4	100,6
არაფინანსური აქტივების კლება	600,0	600,0	626,6	104,4
გადასახდელები	**30 621,7**	**33 320,1**	**30 525,8**	**91,6**
ხარჯები	15 442,1	17 107,9	16 713,1	97,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 096,6	16 129,2	13 729,8	85,1
ვალდებულებების კლება	83,0	83,0	82,9	99,9
ნაშთის ცვლილება	**-3 262,5**	**-3 262,5**	**-258,8**	

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 30 267,0 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.7%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 9 989,9 ათასი ლარი (შემოსულობების 33,0%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 17 643,4 ათასი ლარი (შემოსულობების 58,3%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 2 007,1 ათასი ლარი (შემოსულობების 6,6%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 626,6 ათასი ლარი (შემოსულობების 2,1%).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა წლების მიხედვით (2021-2023 წლები)



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები



#	შემოსულებების დასახელება	თანხა (ათასი ლარი	წილი მთლიან შემოსულობებში
	შემოსულობები	30 267,0	100,0%
1	შემოსავლები	29 640,4	97,9%
1.1	გადასახადები	9 989,9	33,0%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	17 643,4	58,3%
1.3	სხვა შემოსავლები	2 007,1	6,6%
2	არაფინანსური აქტივების კლება	626,6	2,1%

შემოსულობების შესრულება წილობრივად



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება
გეგმასთან მიმართებაში

#	შემოსულებების დასახელება	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
1	შემოსავლები	29 457,6	29 640,4	182,8	100,6
1.1	გადასახადები	9 801,2	9 989,9	188,7	101,9
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	16 794,9	17 643,4	848,5	105,1
1.3	სხვა შემოსავლები	2 861,5	2 007,1	-854,4	70,1
2	არაფინანსური აქტივების კლება	600,0	626,6	26,6	104,4
სულ ჯამი		**30 057,6**	**30 267,0**	**209,4**	**100,7**



შემოსავლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 29 457,6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 29 640,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.6%. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 9 989,9 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 9 801,2 ათასი ლარის 101,9%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 33,0%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა 2021-2023 წლების მიხედვით შემდეგია:



ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 2 300,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 2 500,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 108,7%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში

თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 7 501,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 7 489,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.8%-ია, თუმცა აღსანიშნავია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2022 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 6 089,0 ათასი ლარი გაზრდილია 23,0%-ით ანუ 1 400,8 ათასი ლარით.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2023 წლის განმავლობაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 17 643,4 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 16 794,9 ათას ლარს, რაც გეგმის - 105,1% შეადგენს.

გრანტები და ფინანსური დახმარება კატეგორიების მიხედვით:

#	დასახელება	თანხა (ათასი ლარი	%-ული წილი
	გრანტები და ფინანსური დახმარება	17 643,4	100,0%
1	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	19,8	0,1%
2	მიზნობრივი ტრანსფერი	1 260,8	7,1%
3	მიმდინარე დანიშნულების ტრანსფერი	2 300,0	13,0%
4	სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	20,0	0,1%
5	სპეციალური ტრანსფერი	4 850,6	27,5%
6	კაპიტალური ტრანსფერი	9 192,2	52,1%

გრანტები და ფინანსური დახმარება წილობრივად:



მიღებული ფინანსური დახმარებიდან 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 17 623,7 ათას ლარს შეადგენს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების (მიმდინარე დანიშნულების გრანტები) ოდენობა – 19,8 ათას ლარს შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 58,3%-ია.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 2 861,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 007,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 70,1%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 6,6%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 1 697,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 591,5 ათასი ლარი) 65,5%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 40,2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 1 657,2 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 583,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 73,7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 58,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65,0 ათასი ლარი) 90,5%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 56,7 ათასი ლარი, მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) - 35,2 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0,2 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 21,3 ათასი ლარის ოდენობით.

- არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხევითი გაყიდვები - 2,1 ათასი ლარი.

- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 214,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 205,0 ათასი ლარის 104,8%-ია.

- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 36,1 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	2 861,5	2 007,1	70,1%
შემოსავლები საკუთრებიდან	2 591,5	1 697,4	65,5%
პროცენტები	30,0	40,2	133,9%
რენტა	2 561,5	1 657,2	64,7%
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2 491,5	1 583,5	63,6%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	70,0	73,7	105,3%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	65,0	58,8	90,5%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	65,0	56,7	87,3%
სანებართვო მოსაკრებლები	30,0	35,2	117,5%
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0,2	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	35,0	21,3	60,8%
არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები		2,1	
სანქციები, ჯარიმები და საურავები	205,0	214,8	104,8%
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული		36,1	

სხვა შემოსავლების შესრულება წილობრივად:



არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 626,6 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (600,0 ათასი ლარის) 104,4%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 2,1%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 3 262,5 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 3 262,5 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (კლება) შეადგინა 258,8 ათასი ლარი, შესაბამისად 2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი - 3 003,7 ათას ლარს შეადგენდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით:



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 4 705,8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი 4 596,4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97,7%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 15,1%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 197,0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 195,1 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 99,9%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირების ხარჯებს. ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 0,6%-ს

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 16 688,6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი 14 334,3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 85,9%. ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 47,1%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-

პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, კეთილმოწყობის და სხვა ხარჯებს.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 751,4 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი 1 693,7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96,7%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ხარჯები, გამწვანების ხარჯები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5,6%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ფაქტიურმა ხარჯებმა 592,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 596,6 ათასი ლარის 99,3%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 1,9 %-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 200,0 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 200,0 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 100,0%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 0,7%-ს, მასში გაერთიანებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით გასაწევის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 4 043,6 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 3 968,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,1%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13,0%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია კულტურისა და სპორტის, აგრეთვე რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 3 740,1 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 3 551,3 ათას ლარს, ანუ გეგმის 95,0%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 11,7%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 1 314,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1 310,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,7%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4,3%-ს. მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:



ჩოხატაურის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში (გეგმაფაქტი):

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
ხარჯები	17 107,9	16 713,1	97,7	54,8
შრომის ანაზღაურება	8 109,3	7 996,3	98,6	26,2
საქონელი და მომსახურება	5 664,0	5 406,0	95,4	17,7
პროცენტი	35,0	30,3	86,6	0,1
სუბსიდიები	556,8	550,6	98,9	1,8
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	888,6	884,8	99,6	2,9
სხვა ხარჯები	1 854,2	1 845,1	99,5	6,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	16 129,2	13 729,8	85,1	45,0
ვალდებულებების კლება	83,0	82,9	99,9	0,3
გადასახდელების ჯამი	33 320,1	30 525,8	91,6	100,0

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს გეგმა ფაქტი:



პრიორიტეტების პროცენტული წილი მთლიან გადასახდელებში:



პრიორიტეტების დაფინანსება 2022-2023 წლებში:



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 4 786, ათასი ლარი; 15,7 %.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 14 926,9 ათასი ლარი; 48,9 %.

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 693,7 ათასი ლარი; 5,5 %.

განათლება - 3 551,3 ათასი ლარი; 11,6 %.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 978,7 ათასი ლარი; 13%.

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 589,0 ათასი ლარი; 5,2%.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელების) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №2).

III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 01) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (პროგრამული კოდი 01 01 01) ხარჯებმა შეადგინა 1 425,5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 462,3 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 97,5%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 972,1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 275,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 123,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 53,9 ათასი ლარი.

ჩოხატაუირის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 01 02) ხარჯებმა შეადგინა 3 051,3 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 117,9 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 97,9 %. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2 242,7 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 638,1 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 36,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 6,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 127,6 ათასი ლარი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (პროგრამული კოდი 01 01 03) ხარჯებმა შეადგინა 195,1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 197,0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 99,0%.

მგფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 01 02 04) ხარჯებმა შეადგინა 114,1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 120,0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95,1%.

სარეზერვო ფონდი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, 2023 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 91,3 ათასი ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანარათი №3).

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 7 049,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6 672,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,7%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ონჭიქედში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვანსა და ზომლეთის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ შუა ფარცხმისა და დაბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები, დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩაზე სკვერის და სტადიონის და გურიის ქუჩაზე გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანის გზის რეაბილიტაცია, ამაღლება-სამების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ბასილეთში შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფელ წიფნარში სკოლიდან უჩა კიკვაძის მიმართულებით ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები;სოფელ ხევში (ა. მეფარიშვილის უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. სოფელ ინტაბუეთში საავტომობილო გზაზე ა/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტშიუ, ჯალაღანიას, წიქარიძის, წერეთლის, 9 აპრილის, ლესელიძის და მარის ქუჩების რეაბილიტაცია. სოფ. ხიდისთავის შიდა გზების რეაბილიტაცია. ქვაბღა-ზოტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ხიდისთავი-ქვენობანი-ბუკნარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია. გოგოლესუბნის ადმ. ერთეულში (ჟ. სიხარულიძის უბანი) გზის რეაბილიტაცია) ახალშენი-გორას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ერკეთის ადმმინისტრაციულ ერთეულში ქვემო ერკეთში მეგრელიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია. შუა ამაღლებაში მეორე უბანში გზის რეაბილიტაცია. სოფ. ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის და ხიდისთავი-წიფნაგვარას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ბასილეთის გზის რეაბილიტაცია.

მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში დაგგემილი იყო 20 კმ გრძივი გზის რეაბილიტაცია/მშენებლობა, ფაქტობრივად განხორციელდა 18,5 კმ.

გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 581,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 577,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობას და ელექტრო ენერგიის ხარჯის დაფინანსებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;

- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება და ზოგ შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება;

- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.

მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში დაგგემილი იყო 75 განათების ბოძის შეკეთება , ფაქტობრივად განხორციელდა 75.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 3 143,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 504,1 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 79,7%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში დაგგემილი იყო 10 პროექტის განხორციელება, ფაქტობრივად განხორციელდა 8 პროექტი.

პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 751,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 693,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 96,7%.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორცილდა დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 320 ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამით ხორცილედება დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება. დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.

პერიოდულად ხორცილედება მუნიციპალიტეტში შემოსასვლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება

და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცელვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდა ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება და ჩამონაშალებისაგან გაწმენდა.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცელვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა. ასევე განხრციელდა დუმბაძის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეების შეთეთრების სამუშაოები.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 2 097,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 061,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 98,3%.

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლების მიმღები კონტიგენტია 600 ბავშვი. სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 262 თანამშრომელი. მ.შ. 58 აღმზრდელი 42 აღმზრდელის თანაშემწე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს. სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ბაგა-ბაღების შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი, განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პროგრამის ფარგლებში ფაქტობრივად მომსახურება გაეწია 505 აღსაზრდელს.

განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 309,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 187,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 90,7%.

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. საჯარო სკოლებში მოსწავლეების გააქტიურება, მოსწავლეთა სატრანსპორტო საშუალებებით გადადგილება და სხვა ღონისძიებების მოწყობა. მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და სააღმზდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განთლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 17,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 38,6%.

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვასასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 05)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 100,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 80,9 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 80,8%.

პროგრამის აღწერა:

ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 32 საჯარო საჯარო სკოლა. პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსწავლეთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას, საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლის და შუა ამაღლების სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (პროგრამული კოდი 04 06)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 216,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 214,4 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 99,3%.

პროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღებში სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული შედეგები:

სოფელ ზემო სურებში დასრულდა ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 593,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 539,0 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 96,6%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადებასა და მონაწილეობას ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერას, რათა მათ ქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველყოთ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

მიღწეული შედეგები:

შექმნილია პირობები სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობისთვის, კერძოდ სპორტულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 1400 ერთეულს.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 2 358,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 342,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 99,3%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს, კულტურის ცენტრის, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას.

მიღწეული შედეგები:

შექმნილია პირობები გურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა შეადგენს 50-ს.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 70,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 68,4 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 97,1%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს სპორტსმენთა დაჯილდოვებას, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსებას, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოებას. აგრეთვე ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას და ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების დაფინანსებას.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაფინანსებულია პროექტის ფარგლებში გამარჯვებული 4 პროექტი.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,0 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 100,0%.

პროგრამის ფარგლებში განხოციელდა შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის დაფინანსება, რომელიც მოხმარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. ასევე, განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 18,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 18,7 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 99,0%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავება და განხორციელება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით პროექტების დაფინანსება, გენდერული, ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია(25 ნოემბერიდან 10 დეკემბრამდე), ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ადრეული ქორწინების პრევენცია, საკითხები რასაც მოიცავს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.

მიღწეული შედეგები:

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა განხორციელებულია, გენდერული თანასწორობა ხელშეწყობილია.

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 200,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 200,0 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 100,0%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საბიუჯეტო და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა.

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენასა და გაუვნებელყოფას.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება და შექმნილია პირობები ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისთვის.

სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 392,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 389,1 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 99,7%.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. მათ შორის: სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და

სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებმაც მთლიანობაში უზრუნველყვეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიღწეული შედეგები:

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის შემწეობა მიიღო 3 103 ბენეფიციარმა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 1 იანვრისათვის საბიუჯეტო ნაშთის შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №4).

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №5).

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №6).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2023 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №7).